ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის დავით ჭელიძის

ანგარიში 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით

მოგახსენებთ, რომ ჩემი უფლებამოსილების ცნობის დღიდან ვარ ჩართული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრი. ასევე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიათა წევრი. 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 23 ივლისის ჩათვლით კი, ვიყავი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი. ამ კომისიებში მუშაობის შედეგად მომზადდა მრავალი დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომებზე ინიცირებისთვის, რომელთაგან არაერთი უშუალოდ ჩემს სამაჟორიტარო ოლქში არსებულ პრობლემებს ეხება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ შეიქმნა საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხოციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის

ჩვენი ფრაქციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საკრებულოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობა;

დემოკრატიული თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების შექმნა;

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და საჯაროობა,

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის და საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე კონტროლი ;

მუნიციპალური ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ სხდომებზე განხილული საკითხებია :

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“.

4. თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში საკრებულოს უმრავლესობის შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა.

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 დეკემბრის სხდომის პროცედურების შესახებ“.

6. „თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.01.2019 სხდომის დღის წესრიგის საკითხების განხილვის შესახებ“

7.„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესახებ“

8. „ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ს სამომავლო გეგმების შესახებ“

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და სამშენებლო რეგულაციების შესახებ“.

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესახებ“.

11. „ქ.თბილისის მასშტაბით მუნიციპალური ქონების მართვის მიმართულებით არსებული პრობლემების შესახებ“

12. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ -დან ორი წევრის გასვლის შესახებ“

13. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე თარაშ შურღაიას წარდგენასთან დაკავშირებით“.

14. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე მიხეილ ამაშუკელის წარდგენასთან დაკავშირებით“.

15. „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სურსათით მომარაგებასის შესახებ“

16. თბილისში მიმდინარე აქტუალური პოლიტიკური თემების მიმოხილვა და ქალაქის მასშტაბით დაგეგმილი სამომავლო პროექტების განხილვა.

17. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე მოვლენების შესახებ“

18. „ ქ. თბილისის საკრებულოში სხვადასხვა თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურების წარუდგენის შესახებ“

19. „ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მდივნის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის წარდგენის შესახებ“

20. „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმირების შესახებ''

21. ქ. თბილისის საკრებულოში თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განსახილველად ფრაქციის "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" მიერ განსახორციელებელი მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვა

22. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მოქალაქეების ინფორმირება“

23. „მუნიციპალური ტრანსპორტის კონკრეტული მარშრუტის ცვლილების შესახებ"

24. „ 2019 წლის 26 ოქტომბრის საქველმოქმედო აქცია-კონცერტის შესახებ“

რაც შეეხება კომისიებს, საანგარიშო პერიოდში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 21 კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 232 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში, კომისიის სხდომებზე, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 49 ცვლილება (უარი - 1; დადებითი 48).

ასევე საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა ახალი გენერალური გეგმა, სადაც ასევე განხორციელდა 107 ზონალური ცვლილება და დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 8 ზონალური ცვლილება.

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 55 პროექტი.

თვითნებურად და მიწის ლეგალიზების კომისიაზე გაიმართა 104 სხდომა,სადაც განხილულ იქნა 7000-მდე საკითხი და მიღებულ იქნა შესაბისი გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას, ამ საანგარიშო პერიოდში გაიმართა **15** სხდომა, სადაც განხილულ იქნა **25** საკითხი. დავესწარი ყველა სხდომას და მონაწილეობა მივიღე აგრეთვე ყველა საკითხის განხილვაში.

კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისშესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N15-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა;

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა;

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა;

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის III და IV კვარტალი).

7. ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის III და IV კვარტალი).

8. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ პროექტის „თბილისის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა“ წარდგენა.

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

10. ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა;

12. ,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა;

13. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა;

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ “ ინფორმაცია.

15. მიმდინარე საკითხები (ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების, ასევე კომისიის მიერ დაგეგმილი მიმდინარე პროექტების და ღონისძიებების შესახებ და შუამდგომლობა (N:03-031906536; 06.03.2019),

16. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,

17. დედაქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის (თბილისის მინი სტადიონები) საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ მოკვლევის დაწყების თაობაზე;

18. მიმდინარე საკითხები - არსებული პროექტების პრეზენტაცია.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: #01.11.09.001.053; #01.11.09.001.158; #01.11.09.001.132; #01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/ნ:201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

20. საჭადრაკო კლუბ ,,ოლიმპიური ჩემპიონის“ წერილი;

21. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ;

22. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

23. საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის რეკომენდაციის განხილვა, საცხენოსნო სპორტის განვითარების თაობაზე ;

24. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიშის წარდგენა და სამომავლო გეგმების დასახვა;

25. ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“-ს სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი“-ს სასწავლო პროცესის გაცნობა და სამომავლო გეგმების მოსმენა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში ყოფნის დროს, დავესწარი 11 სხდომას, სადაც განხილულ იქნა 271 საკითხი.

ამავე დროს ნაყოფიერად მუშაობს დეპუტატის ბიურო, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამომრჩეველთან.

ბიუროში ინტენსიურად მიმდინარეობს ძველი ნაძალადევი-ლოტკინის მოსახლეობის პრობლემების განხილვა. კვირაში ერთი დღე, კერძოდ ოთხშაბათი, გამოყოფილია მოქალაქეთა მიღებისთვის, თუმცა, საჭიროების მიხედვით, მათი მიღება სხვა დღეებშიც ხდება. მიმდინარეობს მათი პრობლემების განხილვა და შესაბამისი კონსულტაციის გაწევა. საჭიროების შემთხვევაში კი მოქალაქეებს შუამდგომლობა ეწევათ სხვადასხვა უწყებაში.

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით, შეხვედრაზე მოსული მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს **3000** ადამიანს.

შეხვედრის დღეს მოსული მოსახლეობის მონაცემები		
№	**საკითხი**	**რაოდენობა**
1	სოციალური	1970
2	ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობა	187
3	დასაქმება	735

მოქალაქეთა დანარჩენი ნაწილი მოსულია სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის რეკომენდაციის, შუამდგომლობის და სხვადასხვა თხოვნით. ხოლო იურიდიულ-სამართლებრივ საკითხზე მოსულებს, გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია.

ამ საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობაში შემოვიდა **191** განცხადება, რომლებიც ეხება ფინანსურ დახმარებას, ოპერაციის, მკურნალობის, რეაბილიტაციის და მედიკამენტის დაფინანსებას, საშენი მასალის გამოყოფას, კეთილმოწყობას და სხვ. მათგან უმეტესი დაკმაყოფილებულია.

მოსული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გადამისამართდა შესაბამის სტრუქტურებში. დანარჩენებს კი გაეწიათ სიტყვიერი კონსულტაცია. საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მივდივართ და ვეცნობით თითოეული მოქალაქის პრობლემას

ჩვენი ხელშეწყობით 43-ე ბაგა-ბაღის ადგილას იგეგმება ახალი ბაღის მშენებლობა და თბილისს კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების საბავშო ბაღი შეემატება.

სანერგე- მეურნეობაში 49-ე ბაღის წინ სკვერში 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სკვერის გაკეთება.

სისტემატიური შეხვედრები გვაქვს ხანდაზმულ ადამიანებთან, ვეტერანებთან. აღდგომა მივულოცეთ და საჩუქრები გადავეცით რაიონში მცხოვრებ გაჭირვებულ ოჯახებს. აგრეთვე, ფაშიზმზე გამარჯვების დღე მივულოცეთ რაიონში მცხოვრებ ომის ვეტერანებს. წიგნის ჩუქების დღესთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად მოვინახულეთ „საქართველოს კარიტასის“ ბენეფიციარები და ბავშვებს სამახსოვროდ წიგნები და ტკბილეული გადავეცით.

ჩვენი შუამდგომლობით დამონტაჟდა ტრენაჟორები გარეჯის ქუჩის, კლდეკარის და ბენდელიანის ზემო დასახლების N2-ის მიმდებარედ. აგრეთვე ჩვენი ხელშეწყობით, ძველი ნაძალადევი-ლოტკინის ტერიტორიაზე, სხვადასხვა ადგილას, დამონტაჟდა 70-მდე საპარკე სკამი.

2019 წელს ნაძალადევის რაიონში გზების რეაბილიტაციაზე დახარჯულია 5 910 716 ლარი, კეთილმოწყობის მიმართულებით - 3 708 100 ლარი, სოციალური მიმართულებით 7 000 208 ლარი.

ჩვენი შუამდგომლობით ჩაუტარდა გზის რეაბილიტაცია შემდეგ ქუჩებს:

დასახელება	**ღირებულება**	**ფართობი**
ძმობის მ-2 ქ.	70 319 ლ.	1 160 კვ.მ.
ძმობის 1-ლი ჩიხი	90 862 ლ.	1 112 კვ.მ.
ინანიშვილის ქ.	78 347 ლ.	1 500 კვ.მ.
კობალაძის ქ.	177 742 ლ.	3 000 კვ.მ.
მეჯვრისხევის ქ.	87 511 ლ.	1 290 კვ.მ.
სააკაძის მე-3 შესახვევი	111 882 ლ.	1 500 კვ.მ.
წერონისის ბოლო	5 000 ლ.	300 მ.
ხუდადოვის 2	83 630 ლ.	1 945 კვ.მ.
ზედაუბნის ქ.	72 358 ლ.	1 309 კვ.მ.
ზედაუბნის 1-ლი და მე-2 ჩიხი	55 079 ლ.	150 კვ.მ.
ზეკარის ქ.	273 700 ლ.	4 500 კვ.მ.
სართანიას ქ.	156 244 ლ.	2 420 კვ.მ.
ლოტკინის ხევის ქუჩა	240000ლ.	4 5000კვ.მ
ჯამი	**1502674 ლ**	**20186 კვ.მ**

ჩვენი შუამდგომლობით გაკეთდა შემდეგი საყრდენი კედლები:

მისამართი	ღირებულება	მოცულობა
თოდრიას N14	8 591,23	11 კვ.მ.
უიარაღოს N7	8 006,35	8,6 კვ.მ.
სტურუას ქ. (ასათიანის)	34 159,51	57,2 კვ.მ.
კისისხევის N33	5 276,43	12,2 კვ.მ.
მ. მესხის მე-2 შეს. N5ა	20 324,86	36,77 კვ.მ.
ნიკო მარის 1-ლი შეს. N11	56 815,15	151,2 კვ.მ.
ჯამი	**133173,53 ლ.**	**276,97კვ.მ**

მოქალაქეთა სოციალური და სხვა პრობლემების პარალელურად, მაჟორიტარის წარმომადგენლობაში განიხილება ნაძალადევის რაიონის კეთილმოწყობის და სხვა საკითხები.

წარმომადგენლობა მჭიდროდ თანამშრომლობს ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან, ამავე რაიონის გამგეობის უბნის სამსახურთან და ყველა შესაბამის სრუქტურასთან, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საკითხებში.

აქტიური მონაწილეობა გვაქვს მიღებული ნაძალადევის რაიონის 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და ასევე, აქტიურად განვაგრძობთ რაიონის პრობლემების შესწავლას და მათ მოსაგვარებლად მუშაობას.